№ 125. 15 ივნისი, კვირა. 1866—1880 15 ივნისი, კვირა № 125.

**რედაქცია**

ერივანის მოედანზე, სუმბათაშვილის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ თუმანიშვილის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე პირებისათვის: Въ Тифлисѣ, въ редакціи „Дроэба“ и „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უფასოთ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

## დროება

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ

ღირს ექვსი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

1 ივნისიდამ წლის დამლევამდინ

(„ივერიის“ სამი წიგნი)

ღირს ცხრა მან.

(ამ წლის „ივერიის“ პირველი წიგნი რედაქციაში აღარ არის).

## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

ბერლინი, 13 ივნისს. ტეხნიკურ კომმისიის წევრები და დელეგატები სრულიად შეთანხმდნენ თესალიასა და ეპირში სასამზღვრო მიჯნის გაყვანის შესახებ. ახალი სასამზღვრო მიჯანი იწყება ეპირში მეწცოვთან. ორად ჰყოფს ზაგორიის ოლქსა, აწევს კალომის ნაპირს შაროტსანამდი და თავდება კალომის შესართავთან. თესალიაში სამზღვარი გაივლის კამუნიონის მთების კონცხის კიდურებზე დმიტრიონისკენ, აქედამ გაჰყობა ოლიმპის მთების წვერებზე ელდამდის, და იქიდამ ეგეის ზღვისკენ დაეშვება. ზაგორიის ოლქას 32,000 მცხოვრებლების რიცხვიდამ, ახალი საზღვრის გაყვანის გამო, 11,000 საბერძნეთს ხვდება.

**პეტერბურღის ბირჟა, 10 ივნისს**

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 08 |
| მეორესი — — — — — | 92 | 08 |
| მესამესი — — — — | 93 | 25 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 91 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 91 | 50 |
| აღმოსავლეთის მესამე — | 91 | 50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — — | 7 | 75 |
| თფილისის სათავ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 230 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 225 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 75 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 218 | 75 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268 | 50 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

**პრეზიდენტის ამორჩევა ამერიკაში.**

ტფილისი, 14 ივნისს.

ოთხს წელიწადში ერთხელ არაჩვეულებრივი აღელვება დაეტყობა ხოლმე დიდს ჩრდილოთ-ამერიკის რესპუბლიკას. ოთხს წელიწადში ერთხელ ამ რესპუბლიკის ხალხმა უნდა ამოირჩიოს პრეზიდენტი, რომელსაც თითქმის იმოდენა უფლება აქვს, რაც უფლება აქეთ ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებში ხელმწიფეებს. უმთავრესი განსხვავება ეს არის, რომ დღევანდელი პრეზიდენტი შეიძლება გუშინ კუჩერი, მენავე ყოფილიყოს და როდესაც პრეზიდენტობის ვადა გაუთავდება, ისევ უბრალო კაცათ დაიქცეს.

წრეულს ნოემბერში უნდა მოხდეს ახალის პრეზიდენტის ამორჩევა. მთელის რესპუბლიკის ხალხი ორს პარტიათ განიყოფება: ერთთა ჰქვიანთ რესპუბლიკელები, მეორეებს დემოკრატები, მაგრამ ეს დასახელება სრულებით უსაფუძვლოა: არც რესპუბლიკელების მტერნი არიან მონარხისტები, არც დემოკრატების მტერნი არისტოკრატები; ორივე პარტია თაყვანის-მცემელია ნამდვილის რესპუბლიკისა; განსხვავდებიან მხოლოთ იმით, რომ როდესაც ზანგების განგების განთავისუფლების თაობაზედ ომი ასტყდა ამ რესპუბლიკის ორს ნაწილს შუა, რესპუბლიკელები ყოვლის ღონით ცდილობდენ მონარბა მოესპოთ და ზანგებისათვის ასეთივე უფლება მიენიჭებინათ, რაც უფლება თეთრის კანის ხალხსა აქვს. დემოკრატები კი, რომელნიც უფრო სამხრეთის შტატებში სცხოვრობენ და დიდძალი მონა-ზანგები ჰყავდათ თავიანთ თვალ-უწდომ მინდვრების შესამუშავებლათ, ეწინაამდეგებოდენ ზანგების განთავისუფლებას.

რესპუბლიკელებს შეადგენენ უფრო ჩრდილოეთ-შტატების მცხოვრებნი და მათის შემწეობით განთავისუფლებული ზანგები; დემოკრატებს, როგორც ვთქვი, უფრო სამხრეთის შტატები.

ამ ორს პარტიას შუა ყოველთვის პრეზიდენტის ამორჩევის წინ გაცხარებული ბრძოლაა, არა ზოგჯერ არც ქრთამს, არც ძალადობას ოღონდ თავიანთ პარტიის კაცი კი დასვან პრეზიდენტათ.

წრეულსაც, რასაკვირველია, ასტყდა ეს ბრძოლა. დემოკრატები ცალკე და რესპუბლიკელები ცალკე ირჩევენ დელეგატებს, რომელნიც საერთო კრების წინათ ცალკე უნდა შეიყარნენ და დაასახელონ თავიანთი კანდიდატი. შემდეგ საერთო კრებაზედ, რომელს კანდიდატსაც კი მეტი ხმა ამოუვა, ის გახდება პრეზიდენტი.

რესპუბლიკელები კიდეც შეყრილან ჩიკაგოში და თავიანთი კანდიდატი დაუსახელებიათ.

ამ არჩევანის დროს ერთი შემთხვევა მომხდარა, რომელიც გააოცებს ყველას, ვინც კი ამერიკის ჩვეულება და წესი არ იცის.

უნდა ამოერჩიათ კანდიდატი რამდენსამე პირთ შორის; უყარის კენჭი რამდენჯერმე გრანტს, რომელიც ორჯერ იყო პრეზიდენტათ და სხვა რამდენსამე გამოჩენილს პირს. პირველს კენჭის ყრაზედ გრანტს ყველაზედ მეტი კენჭი გამოუვიდა, მაგრამ მაინც საკმარისი არ იყო კანდიდატათ ამორჩევისათვის. ამერიკის კანონი ითხოვს, რომ მეტს კენჭს გარდა ამა და ამა რიცხვზედ ნაკლები კენჭი არ უნდა გამოუვიდესო.

## ფელტონი

—

### საკვირაო საუბარი

როდესაც ყველა ერთს ამბავსა ლაპარაკობს, თუნდაც მობეზრებული იყოს, მაინც, გინდა თუ არა, აუცილებლად ერევი იმ ლაპარაკში და ახალსა და ახალს მხარეს ხედავ იმ ამბისასა. სწორეთ ასეა ამ ჟამად კალიის ამბავიცა. დაიწყებ, თუ გაათავებ ლაპარაკსა, მაინც კალიას შეხვდები.

გაზეთების კორრესპონდენტები, წვრილი და დიდი ამბები, ტელეგრამმები სავსეა კალიის ამბითა, არა თუ ჩვენი ქალაქის გაზეთები, რუსეთისაცა. თვით მინისტრიც კი რუსეთში მოგზაურობს და კალიის მოდებას იწერება ტელეგრამმებით. რუსეთშიაც დიდ ადგილებში გაჩენილა და ხალხი სამუშაოთ გამოუყვანიათ.

ჩვენში კალიაზე მუშაობა აგერ თავდება, რადგანაც კალიას ფრთა გამოსხელია და ფრენაც დაუწყვია.

* *
*

რამდენი რამ უხამსო გვაჩვენა წლევანდელმა წელიწადმა! მარტო ჩაფრების საქციელი, პურის დარიგება, ხალხის გამოყვანის რიგი, მუშაობის რიგი და სხვანი და სხვანი რა სანახავს წარმოგვიდგენს! რამდენი წინასწარ მოუმზადებლობა და მოუხერხებლობა სჩანს, რამდენი შეცდომა და შეცოდება! მოდი და ბრიყვათ ნუ ჩასთვლი იმ კაცებს, რომელნიც იძახიან, საჭირო არ არის ერთი ხელმძღვანელი უფლება, რომელსაც შეეძლოს კეთილ-გონიერებით საქმის მიმართულება და გაძღოლაო.

გადიკითხეთ გაზეთში მოწერილი კორრესპონდენციები, ყური უგდეთ ხალხში რას ლაპარაკობენ. ელაპარაკეთ თვით მუშაობაზე გაგზავნილ პატიოსან ზედამხედველ კაცებს და მაშინ დარწმუნდებით ხალხისა და მმართებლობის მსხვერპლს, ხარჯსა და ჯაფას რამდენი ტვირთი მოუმატა განსაკუთრებულის უხელმძღვანელობის უქონლობამა.

მომავალ წლისათვის, მომავალისათვის მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ ხალხის და მმართებლობის მსხვერპლს მეტი ტვირთი, აუტანელი ტვირთი არ დააწვეს.

*
* *

მ ხვერპლი დიდი მოიტანა წრეულს ჩვენმა ხალხმა და იმედი აქვს ჭირნახულის გადარჩენისა. ამასთან ერთი ძვირფასი საუნჯეც შეიძინა: ისა რომ მოვლინებულ უბედურებასთან ბრძოლა და იმის დამარცხება ჯაფით, შრომით და მეცადინეობით შეიძლება. კალიას ვერ მოვერევითო, ეს ამაოდ მორწმუნება, თუ სრულიად არა, ახლა საკმაოდ მაინც შემცირდება ჩვენს ხალხში, ვიდრე აქამომდე იყო. ეს ისეთი შეძენაა ხალხისათვის, რომელსაც, როგორც ერხელა ვთქვით ძვირფას განძათ უნდა ვთვლიდეთ, რადგანაც დღევანდლამდე ხალხის კეთილ-დღეობას და წარმატებას ძალიან უშლიდა და უშლის ყოველს მოქმედებაში, საქმეში, მეურნეობაში, ვაჭრობაში, ყოფა-ქცევაში, თვით თეატრში და მწერლობაშიაც კი.

* *
*

აი ამ კვირას ერთმა კაცმა ვაჭარმა პოროლანოვმა წყალში თავი დაიხრჩო თურმე ვაჭრობაში რაღაც ზიანი ნახა, უმტრო ვინმემ და ფულები შეუჭამა, თუ როგორ იყო, ასე მოხდა.

ამ წელს ეს მესამე შემთხვევაა, რომ ვაჭარი კაცი თავს იკლავს. პირველი იყო ხერუმოვი, რომელსაც ინდოეთში დავა ჰქონია ვილასგანაც ნაყიდ სიმდიდრის გამოტანის თაობაზე და დავის წაგების თანავე წყალში ჩავარდა. ლონიევმაც ზიანის გამოთ დაიხრჩო თავი (ახლა გამოჩნდა, რომ ფულის პატრონებს აპეკა მანეთზე ორ აბაზს ევაჭრება), ამ კაცებზე სიცოცხლის დროს ცუდს არავინ ლაპარაკობდაო და ნურც სიკვდილს უკან ვიტყვით ცუდსა. ზიანი ისეთი საქმეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოც-და-რვაჯერ ჰყარეს კენჭი და ოც-და-რვაჯერვე კენჭი თითქმის არ შეიცვალა: გრანტს ყველაზედ მეტი ამოსდიოდა, მაგრამ მაინც არა ჰკმაროდა; მას მოსდევდენ ორი სხვა გამოჩენილი პირი ჩრდილოთ-ამერიკის რესპუბლიკისა და ვილაც გარფილდს გამოსდიოდა ორი კენჭი.

მაგრამ, როგორც დოლში სრულიათ უკან ჩამორჩომილი ცხენი, რომელსაც ყურადღებას არავინ მიაქცევს, უეცრათ თავს იჩენს და უკანასკნელს შემოვლაზედ გაასწრობს ერთს, მეორეს და შემდეგ ყველაზედ წინ მოექცევა, ისე ამ უკანასკნელს მოუვიდა.

ოც-და-მეცხრე კენჭის ყრაზედ გარფილდს ამოუვიდა ორმოც-და-ათი კენჭი; შემდეგ ორთა უარი სთქვეს კანდიდატობაზედ და მას დაუთმეს თავიანთ მომხრეთ კენჭი. ოც-და-მეთერთმეტეჯერ გრანტს ამოუვიდა 306 კენჭი და გარფილდს 399. ეს უკანასკნელი რიცხვი საკმარისი იყო და გარფილდი კრებამ ერთ-ხმათ იცნო რესპუბლიკელთ კანდიდატად პრეზიდენტის ალაგზედ.

შეუჩვეველს თვალს სწორეთ მასხარობათ ეჩვენებოდა ეს დაუსრულებელი კენჭის-ყრა და შემდეგ იმის ამორჩევა, რომელსაც ოც-და-რვაჯერ მხოლოთ ორი კენჭი ამოსდიოდა, მაგრამ, თუ დავაკვირდებით, ეს გარდაწყვეტილება სწორეთ რომ შესანიშნავია.

გრანტს ოცდა-თექვსმეტჯერ თითქმის ერთი და იგივე კენჭი ამოსდის; არც ემატება, არც აკლდება და შემდეგ ბევრის ცოდვილობისა გრანტის ამორჩევას იმას ამჯობინებენ ვილაც გარფილდი ამოირჩიონ, რომელსაც თითქმის რიგიანათ არავინ იცნობდა. ამით რესპუბლიკელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი არ ერიდებიან უბრალო ჩამომავლობის კაცს (გარფილდი ყმაწვილობისას ჯერ დღიურათ მუშაობდა შემდეგ იყო კუჩრათ, მენავეთ...) და თან გრანტს, მის პატივის მოყვარეობას და მედიდურობას უწყალო მათრახი გადაჰკრეს.

გრანტი ორჯერ იყო ამორჩეული პრეზიდენტათ, რვა წელიწადი პრეზიდენტობდა და ეტყობა ძრიელ გასტკბობია ეს ალაგი მესამეთაც მოინდომა ხელში ჩაგდება. იმას დაავიწყდა პირველის მამულის შვილის, ვაშინგტონის მაგალითი.

როდესაც, ჩრდილოეთ-ამერიკის შტატები ინგლისის მფლობელობესაგან გათავისუფლდენ, მამულისათვის თავგადადებულს და განმათავისუფლებელს ვაშინგტონს შეხვდა ორჯერ პრეზიდენტობა. მესამეთაც მოინდომა ხალხმა იმისი არჩევა პრეზიდენტათ, მაგრამ ვაშინგტონმა დიდი უარი განაცხადა, ეგ ხემწიფობას ეგვანებაო. გრანტმა მოიწადინა ამერიკის საუკეთესო შვილის ანდერძის დარღვევა და ეს წადილი იაფათ არ დაუსვეს ამერიკელებმა.

მ.

## ახალი ამბები

—

ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია დიდის მთავრის კავკასიის მთავარმმართებლის ბრძანება, რომ ამ თვის 10-ს ის დაბრუნდა კავკასიაში და დაიწყო თავის თანამდებობის ასრულება.

***

სამურზაყანოდამ და აფხაზეთიდამ გვწერენ, რომ აქეთკენ სულ 5 შკოლა აქვს გამართული „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებასაო“; მაგრამ ყველა ამ შკოლების საქმე გარდა ოქუმისა, ისე საძაგლად მიდის, რომ მათ თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ აქაურ შავ-ბედით ხალხისათვისაო. მომეტებული ნაწილი მასწავლებლებისა სრულიად არ დაიარებიან თავიანთ შკოლებში,ნადირობაში,ჯიროთობაში და ქეიფობაში ატარებენ დროსაო, ინსპექტორი ზემოხსენებულ „საზოგადოების“ შკოლებისა—ბ. ლიხაჩოვი ორ-სამ წელიწადში ერთხელად არ მოდის, არ უგდებს ყურს ამ შკოლებსაო, რომელნიც ამნაირად, შეიძლება ვსთქვათო, რომ უფრო „საზოგადოების“ ქაღალდებში ირიცხებიან და ნამდვილად კი არ არსებობენ...

***

ახალ-ქალაქის მაზრის სოფ. ძილდის შკოლის მასწავლებელი გვთხოვს გამოვაცხადოთ სია იმ პირთა, რომელთაც ამ სოფლის საქალო-შკოლას ფულით შეწევნა აღმოუჩინეს:

ახალ-ქალაქის მოქალაქეს ბაგრატ პიჩიკოვს ხსენებულ შკოლის ქალებისათვის სხვა-და-სხვა მასალების სასყიდლად შეუწირავს—3 მან. და სხვა მხრითაც აღმოუჩენია თინაგრძნობა, ბ. ბიორგობიანს ახალქალაქშივე მოუგროვებია—7 მან. და 50 კაპ., ბ. დათიევს—1 მან., სომხის შკოლის ზედამხედველს—10 მან., ადგილობრივ ვაჭრებს, კიდევ ბ. პიჩიკოვის მეცადინეობით,—20 არშინი მიტკალი, ილ. ალხაზიშვილს—5 მან. და რამდენიმე ქართული წიგნი და დიმ. ალექსიძეს—ერთი მანეთის ქართული წიგნები, სულ 26 მან. 50 კაპ. 20 არშინი მიტკალი და რამდენიმე ქართული წიგნი.

***

თფილისში თითქმის მუდამ საღამოს ცოტა-ცოტათი სწვიმს ამ უკანასკნელი კვირის განმავლობაში და ამის გამო საღამობით საკმაოდ გრილა. სოფლებში და აგარებში ქალაქიდამ ჯერ არავინ წასულა.

***

გორიდამ გვწერენ: კალია მინდვრებიდამ გორის ბაღებს შემოესია, შეჭამა რაც ძირის მოსავალი იყო, შემოესია ქუჩებს, სახლებს და მდინარეებშიაც იმდენი ჩაცვივდა, რომ ხალხში ხმა გავარდა გაუფთხილებლათ წყლის დალევა არ შეიძლება, კალიას ჩააყოლებს კაცი, მდინარეს წყალი მავნებელიაო. მებოჩკეებს თურმე შეუწყვეტიათ წყლის ზიდვა და რომ ზოგიერთს ჭის პატრონებს შეუტყვიათ, თავიანთ მდგმურებისათვის უთქვამთ უფასოთ ჭიდამ წყალს აღარ დაგანებებთო!!

ამისთანა ხმის დაგდება, რომ კალიას შეეძლოს მდინარე წყლის წახდენა მერე იმისთანა მდინარისა, როგორც ლიახვია, რომელიც კამეჩსაც კი ერთს ალაგას არ დააყენებს, არამც თუ კალია შეაჩეროს მარტო გორელებისაგან თუა დასაჯერებელი!

მარტო გორელებს თუ მოვათ ჭკუაში მაგისთანა „ყაირათის“ გაწევა რომ წყალიც კი უფასოთ არ დაანებონ თავიანთ მდგმურებს, თავიანთ მეზობლებს!!

### ბ. გ. აბაშიძის წერილის შესახებ

„დროების“ გუშინდელს ნომერში ბ. ვ. აბაშიძემ თავისის პირით წარმოსთქვა მიზეზი ოთხშაბათს მომხდარის სკანდალისა ქართულის წარმოდგენის დროს; თავისის პირითვე აღიარა, რომ ეს მიზეზი ავათმყოფობა არ ყოფილა; სდომებია მხოლოთ ამხანაგობის შერცხვენა, რადგან ამხანაგობა მას მუდამ ჯარიმებს ახდევინებს, სიტყვის შებრუნებას, ავათ ხსენებას არ უთმენს. ამხანაგობას ისე გაუჭირვებია იმისთვის საქმე, რომ დღეს არ იცის ხვალ რა სჭამოს.

ყოველს ამ გვარს შემთხვევაში საქმის გამოსარკვევათ ხელ-მოწერილს დოკუმენტს არა შეედრება-რა და ჩვენც დოკუმენტებზედ მივუთითებთ.

ბ. აბაშიძე ამბობს, ამ უკანასკნელს ოთხს თვეში მხოლოთ ათი-თხუთმეტი მანეთი მრჩებოდა თვეში, სულ ჯარიმებზედ მიდიოდაო.

ჩვენ ხელში გვაქვს ქართულის თეატრის დასის ანგარიშის წიგნი,

---

რომ ბევრჯელ ძალა-უნებურათ მოგადგება და წაგახდენს. პირ იქით ამ კაცებზე შეგვიძლია ისევ ისა ვსთქვათ, რაც ერთხელ გვითქვამს, რომ, სინდისმა, და სირცხვილმა დასწვა.

მაგრამ მიზეზი კი ამათის უბედურებისა საერთო მიზეზია, რომლისაგანაც ზოგი უნებურად, ზოგი ძალად თავს კოტრობაში იგდებს, ზოგი დუქნებს ცეცხლს უკიდებს და სხვა და სხვა საქმეს ჩადის. რომელი მიზეზიაო? იქნება მკითხოთ.

— მგ გახლავს ამაოდ მორწმუნეობა, უეცრად და მალე გავმდიდრდებიო.

***

ჩვენს ცხოვრებაში იმისთანა საქმე, რაც ომს არ შეეხებოდა და მშვიდობიანს ცხოვრებაში იყო გასაკეთებელი, ადრე ძალიან მძიმეთ, ძალიან ნებივრათ მიდიოდა მსვლელობაში. ეს დრო ვორონცოვის დრომდე იყო. ყოველი საქმე და ამაში ვაჭრობა და სხვა აღებ-მიცემა ისე მძიმეთ, ტატით მიაბიჯებდა, როგორც ნებიერი კამბეჩი. ვარანცოვის მერმე და მეტადრე ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ხალხში გამოიღვიძა დიდ პატივსაცემმა სურვილმა უკეთესის ცხოვრებისამ.

ჩვენმა გონება განუხსნელმა საზოგადოებამ, გამოუცდელმა და მაგალითის უნახველმა, კაი ცხოვრების ღონეთ ფული დაინახა და არა ბეჯითი შრომა. ჩვენს ვაჭრებს, ჩვენს თავად-აზნაურობას გაეღვიძა კეთილი ცხოვრების სურვილი, მაგრამ ის კი არ იცოდა რომ ამის ღონე ჯაფითდა შრომით მოიპოვება. ეს ღვიძ აწყვეტილი სიხარბე და ადვილათ გამდიდრების სურვილი გარდა ამოდენა უბედურების მიზეზი რომ ამდენი ყალბი ფულის გამსაღებლები, დუქნების დამწველები, ძალათ ან უნებურათ კოტრები გამრავლდნენ ამდენი მამულების გამყიდველები, დამგირავებლები, მადნის მძებნელ-მყიდველები გამრავლდნენ, ამდენი სხვის შემჭმელი, დამქცევი და ჯაფის, მონაგარის დამღუპველნი გამრავლდნენ.

***

ნუ თუ ამაში კი ამაოდ მორწმუნებას არა ხედავთ? კაცს კეთილი ცხოვრება უნდაო, კეთილი ცხოვრებისათვის სიმდიდრეო. ეს სიმდიდრე უნდა ვიშოვნოვო, რამდენათაც ჩქარა ვიშოვნი, იმდენათ მალე კეთილ ცხოვრებას დავიწყებო და აღარც თავის-თავსა ზოგავს აღარც სხვასა. რასაკვირველია, რომ ასეცა ხდება ან წყალში ვარდება რომ თავს ველარ აღწევს, ან ციმბირში მიდის ყალბი ასიგნაციების გასაღებისთვის, ან სულ ღარიბდება. თუ თითონ გადარჩა, სხვებს გაგზავნის იმ გზაზე ან სულ სიცოცხლე გამწარებულს ღატაკს დააგდებს. ერთი ამაოდ მორწმუნება აქვს, რომ მალე უნდა გავმდიდრდე და გავმდიდრდეო. სრულებით არა ფიქრობს, რომ სახალხოთ საერთო სიმდიდრე, რომლისაგანაც სათვითაო ყოველი კაცის სიმდიდრე წარმოსდგება, რომ ნამდვილი სიმდიდრე უეცრად საჩქაროდ ციდამ კი არ ჩამოდის; არამედ სიმდიდრეც ისე შენდება, როგორც ყოველი შენობა. აგური აგურს უნდა დაადვა, თითო თითოდ და კარგის ჯაფით, ხანგრძლივის ბეჯითობით. უშრომლად, უჯაფოდ ნამდვილი სიმდიდრე არ არის ქვეყანაზედ და ვისაც ასე არა ჰგონია ან თვითონ მოუტეხია კისერი, და ან სხვისთვის მოუტეხნებიან. საცა კისრეს მტვრევაა, ერთისა იყოს გინდ მეორისა, იქ მკვიდრი სიმდიდრე არ არის, იქ სიყალბეა.

***

ვაი იმ ხალხს და იმ საზოგადოებას, ვაი იმ ქვეყანას, რომელიც ამაოდ მორწმუნებას ასე დაუმორჩილებია, ვაი იმ მწერალს, რომელიც უნდა დასტიროდეს თავის საზოგადოებას და ხშირად ღაღადებდეს ამ უბრალო ჭეშმარიტების გამოაშკარავებას!

ამაოდ მორწმუნება მარტო ისა ჰგონიათ რომ კალიის გაწყვეტა ხალხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდამაცა სჩანს, რომ ბ. აბაშიძეს ამ წლის იანვრის თვეში რგებია ხუთი თუმანი და ორი მანეთი; თებერვალში თავისი ჯამაგირი, ხუთი თუმანი, სრულათა რგებია; მარტში რგებია—46 მან. და 50 კაპ.; აპრილში ხუთი თუმანი და მაისში ოც-და-ხუთი მან. ამ ფულის მიღების დასამტკიცებლათ ბ. აბაშიძეს ხელი უწერია.

სჩანს რომ მხოლოთ მარტში დაჰკლებია 3 მან. და 50 კაპ. და მაისში ოც-და-ხუთი მანეთი.

გარდა ამისა, მართალია ივნისში ბ. აბაშიძე ღირსი იყო ჯარიმის გადახდევინებისა უმართებულოთ ქცევისათვის და უკანასკნელის რეპეტიციიდამ გაქცევისათვის, მაგრამ ეს ჯარიმა ჯერ ამხანაგობისაგან არ იყო გადაწყვეტილი.

მართალია, რადგანაც აქტიორები ხშირად წინდაწინვე თხოულობენ ჯამაგირს, დასის ხაზინადარს ნათქვამი ჰქონდა დრომდე დაეჭირა და წინათვე არ მიეცა ჯამაგირი 25 მანეთამდე, ვიდრე ამხანაგობა გადასწყვეტდა, რა ჯარიმა უნდა დაენიშნოს ბ. აბაშიძეს უკანასკნელის რეპეტიციიდამ გაქცევისათვის.

მართლა ღირსი იყო თუ არა ბ. აბაშიძე ამ ჯარიმების გადახდევინებისა?

39 § დაბეჭდილის კონტრაქტისა, რომელზედაც ამხანაგობის წევრთ და ბ. აბაშიძეს ხელი უწერიათ, ამბობს:

„თუ უმართებულოდ მოიქცე ან „რეჟისსორს, ან ავტორს, ან ამხანა„გობისა და ჩვენის დასის წევრს და „ან გარეშე პირს, ამხანაგობას ნება „აქვს ეს შეკრულობა დაარღვიოს „ჩემთან და დამითხოვოს დასიდამ“.

ბ. აბაშიძე არა თუ ერთხელ და ორჯერ, რამდენჯერმე მოიქცა უწესოთ და უმართებულოთ და არა ერთხელ დაუპირებია ამისთანავე სკანდალის მოხდენა. ჩვენ ყოველ ამას ვუთმენდით იმის ნიჭის პატივისცემით და მხოლოთ როდესაც მისი უწესოება ზომას გადააცილებდა, მაშინ ვუნიშნავდით კონტრაქტში მოხსენებულზედ ნაკლებ სასჯელს.

სწორეთ ამხანაგობა რომ დიდათ დამნაშავე ყოფილიყო, სწორეთ უსაბუთოთაც რომ დაენიშნა ჯარიმა ჯარიმაზედ ბ. აბაშიძისთვის, მაინც ამ უკანასკნელს პუბლიკისათვის შეურაცხება არ უნდა მიეყენებინა; იმას შეეძლო თავისი უკმაყოფილება ისევ გაზეთის შემწეობით გამოეცხადებინა და საქვეყნოთ გაემხილა თუ ამხანაგობა უსამართლოთ მოექცა.

თორემ, ბ. აბაშიძეს ამხანაგობის განკარგულება არ მოსწონდეს, პუბლიკა აქ რა შუაშია?

ბ. აბაშიძის სიტყვებზედ, დღეს არ ვიცოდი, ხვალ რა უნდა მეჭამაო, ვიტყვით მხოლოდ ამას, რომ გარდა ზემო აღნიშნულის ჯამაგირისა იმას ჰქონდა რვა თვეში ორი ბენეფისი, რომელთაგანაც შემოუვიდა, სულ რომ ცოტა ვიანგარიშოთ, სამოცი თუმანი, და სხვებთან ის უპირატესობა მიეცა კიდევ, რომ სხვა ბენეფიციანტები თეატრის დასს ოც-ოცს თუმანს აძლევენ ბენეფისის შემოსავლიდან და ბ. აბაშიძისთვის კი უკანასკნელს ბენეფისში გროში არ გამოურთმევიათ; გარდა ბ. აბაშიძისა არავის არა ჰქონია ორი ბენეფისი და ზოგს ჯერ ერთიც არა ჰქონია.

ჩვენ აქ არ ვახსენებთ პირველს ბენეფისზედ უხვათ მიცემულს საჩუქრებს, რომელთათვისაც ისეთი ზდილობიანი მადლობა გარდაუხადა იმან საზოგადოებას წარსულს ოთხშაბათს.

მაშ რა მნიშვნელობა აქვს ბ. აბაშიძის ზემოთ ხსენებულს სიტყვებს, ან თვითონ მთელს წერილს,—ჰსაჯოს საზოგადოებამ.

ერთი ამხანაგთაგანი.

---

ბატ. რედაქტორო! მე პასუხს არ ვაძლევდი პამპულა ლიტერატორებს და ბულვარის მეჭორეებს, რომელნიც ამ უკანასკნელ დროს ჩემზე ბევრსა გზუოდნენ. მაგრამ ვ. აბაშიძის წერილზე კი ვიტყვი ორიოდ სიტყვას, რადგან ამას ჯერ ჩვენი საზოგადოება კარგად არ იცნობს და იქნება ეისმეს ის მართალი ეგონოს.

ბ. ვ. აბაშიძე ბძანებს: „თუ გაბედა აქტიორმა და გ. თუმანიშვილის უკანასკნელ ბროშიურაზე თავისი აზრი წარმოსთქვა, ვაი იმისი ბრალი: მაშინათვე ჯარიმას გადაახდევინებენ (თეატრის ამხანაგობის წევრები). ეს სიცრუვეა, და თუ არ დაამტკიცა უფ. აბაშიძემ მოწმებით ან სხვა რამე საბუთებით, რომ ხსენებული აქ ამბავი ნამდვილად მომხდარა, ეს ვაჟბატონი, რასაკვირველია, პირშავათ დარჩება იმ საზოგადოებასთან, რომელთანაც ის ესე მარდათ სცრუობს.

თუ „ობზორმა“ გადაბეჭდა ვ. აბაშიძის წერილი, ვსთხოვ ჩემი პასუხიც გადაბეჭდოს.

გ. თუმანიშვილი.

თბილისი, 14 ივნისი.

---

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** ლონდონში მყოფი „ოსმალეთის დამხმარებელი მისსიონერთა საზოგადოება“ აცხადებს, რომ სპარსეთში საშინელი შიმშილიაო. მაისის დამდეგს მუდამ დღე კვდებოდა თურმე ქ. კრუმის ქუჩებში 50—60 კაცი, ერთს სოფელში უნახავთ, რომ სამ ქალს დაეკლათ ბავში და ეჭამდნენ. სპარსეთის მმართებლობა ამ დამშეულებს ვერავითარ შემწეობას ვერ აძლევს და მისსიონერებს ღონის-ძიება შემოაკლდათ, ასე რომ ადვილად მოსალოდნელია მთელი მხარეს შიმშილით ამოწყვეტა.

—

„გოლოსის“ საკუთარი კორრესპონდენტი იწერება ბერლინიდამ, რომ აქ მყოფნი ოსმალოს დიპლომატები წამ-და-უწუმ გაიძახიანო, რომ ოსმალეთი კონფერენციისაგან მხოლოდ რჩევას მოელისო, და ამ რჩევასაც იმდენად აასრულებს, რამდენადაც შესაძლოდ დაინახავსო. კონფერენციის განაჩენს ოსმალეთი საბოლოო გარდაწყვეტილებად არ ჩასთვლისო. თუმც ოსმალეთი მზად არის, ამბობენ ეს დიპლომატები, რომ მშვიდობიანობის დაცვისათვის დიდი მსხვერპლი გაიმეტოსო, მაგრამ ვადდინგტონის წინადადებაზედ და საბერძნეთისაზე, რომელიც პირველს გადაეჭარბება, იმას არამც-და-არამც არ შეუძლია დათანხმდესო.

—

ინგლისის ქვემო-პალატაში გლადსტონს უთქვამს: „რასაკვირველია გვარტომობა და სხვა საბუთები უნდა მიიღონ მხედველობაში, როდესაც ალბანიაზე და სხვა ხალხებზე იქნება სჯა.

—

საფრანგეთის მინისტრებს განუხილავს კომმუნარების შესახებ, სრულიად პატიების კანონ-პროექტი, და, როგორც ამბობენ, ამ დღეებში წარუდგენენ დეპუტატთა პალატს.

---

აქამდინ შესაძლებელ საქმეთ არ მიაჩნდა, ან მკითხაობა და ამისთანაები, ნამდვილათ კი ამაოდ მორწმუნება ჩვენს ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე ჩანს, ყოველ საქმეში.

ავიღოთ აი თეატრი.

ამ კვირას ოთხშაბათს წარმოდგენის დროს უმართებულო საქმე მოხდა, რომელიც მკითხველებმა უკვე იციან.

ჩვენს ამაოდ მორწმუნეებს ასე ეგონათ, რა კი ქართული წარმოდგენები გაიმართა, ყველაფერი მკვიდრიაო. პუბლიკამ აღტაცებით დაიწყო თეატრში სიარული, აღტაცებით აქტიორების მიღება და ორიოდე თვის განმავალობაში დარწმუნებით ლაპარაკობდნენ, რომ ქართული თეატრი მკვიდრს საფუძველზედა სდგასო. გაზეთის რეცენზენტები ისეთ გვარათ ლაპარაკობდნენ, როგორც შეუძლია ამაოდ მორწმუნე ბალღსა, რომ მასხრობასა გავდა და არა მსჯელობასა. არავინ არა ფიქრობდა, არც პუბლიკა, არც მასხარა რეცენზენტები, არც აქტიორები, რომ უეცრად ციდამ ჩამოვარდნილი თეატრი დედა-მიწაზე ვერ იხეირებს და მაშასადამე შრომაა საჭირო.

პატარა დრომ გაიარა, ნაკლულევანებამ ნელ-ნელა თავი გამოჰყო, დაიწყო ამასთანავე გალაშქრება. ხან ერთი წასწვდა მეორეს, მეორე მესამეს და საერთოთ ნამდვილი შრომის მოტანის საჭიროებას არ ხედავდნენ.

* * *

ერთი რეცენზენტი ჰყავს „ობზორსა“ გრუზინი, რომელიც მასხარობს ხოლმე ქართულ თეატრზე. როგორც მოვეხსენებათ „ობზორის“ ენისა, დიდის აღტაცებით იცის გართობა და ნეტარებაშია, როდესაც სადმე მარცხსა ხედავს. როდესაც ნაკლულევანებაა ნამდვილ მეგობრის ვალია მიზეზი აღმოუჩინოს ნაკლულევანებისა, ან ღონე აჩვენოს. თქვენც არ მამიკვდეთ. მოჰყოლია გრუზინი და აქტიორებს აქეზებს თეატრის ამხანაგობის წინააღმდეგ: ამხანაგობა უნიჭოაო და აქტიორები ნიჭიერები არიანო, ერთმანერთში შური აქვთო; უნიჭოებს ნიჭიერების დამცირება უნდათო.—პუბლიკამ თავბრუ დაასხა ჩვენს აქტიორებს მეტის-მეტის წაქეზებით და უკანასკნელ ხანებში ენახეთ რა დამართა ამ წაქეზებამ აქტიორებსა, რა სახით დაარწმუნა ისინი, რომ მათ შრომა არ ეჭირებათ. ახლა „ობზორიც“ ამ გზას დაადგა და ამხანაგობაზე უნდა გაალვიძოს პუბლიკის მტრობა. არც აქამდინ იყო იმისი მეგობარი, თუმცა თავი მეგობრათ ჰგონია და სხვებსაც არწმუნებს, მაგრამ დარწმუნებისათვის საჭიროა მკვიდრ პატიოსნურ ნიადაგზე დადგეს და ისე ილაპარაკოს საზოგადო საქმეებზე და არა მიდგომით, დღეს ერთისა, ხვალ მეორისა და ზეგ მესამისა. გრუზინზე სიტყვის გაგრძელება სირცხვილათაცა მგონია: იმისს მახვილ გონივრობას და გონების ძალას მის ნაწერებიდამ ყველა ჰხედავს, მაგრამ „ობზორის“ ამაოდ მსჯელობაზედაც ლაპარაკი მეტია. იმისი ქადაგად ჩავარდნილობა დიდი ხანია ყველამ შეიტყო.

* * *

რაც უნდა თქვან, ყველას ამაოდ მორწმუნება ძვალში და რბილში გასჯდომია. თეატრი ერთს წელში აშენებულ და დამკვიდრებულ საქმეთ ეგონა ჩვენს საზოგადოებასაც და თეატრისთვის მოქმედთაც. ბეჯითი, მკვიდრი ფეხის გადადგმა, მკვიდრათ შენობის აგება უმძიმდათ და უეცრად აგებულის ნახვა უნდოდათ. არც გაგონება, არც დათმობა და თანხმობა, არც მოთმინება იქონიეს აქტიორებმა. კომიტეტს არა დაუშავებია-რა. იქნება არც აქტიორებმა დააშავეს. დააშავა ერთმა მხოლოდ ცრუ-მორწმუნეობამ: უშრომლად ხელოვნების ტაძრის აგება.

ანჩხატელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განცხადებანი

### სია

საქმეებისა, რომელიც უნდა განიხილოს Თფილისის Ოლქის სასამართლოს (Ოკრუჟნი სუდის) განყოფილებამ ქ. Გორში:

21 ივნისს

Იმ დავების განხილვა, რომელიც ასტყდა სოფ. Ძასპის ტყის გამიჯვნის დროს.

27 ივნისს

Იმ დავების განხილვა, რომელიც ასტყდა Გორის მაზრის სოფ. Იგოეთის ტყის გამიჯვნის დროს.

(3—2)

---




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲜᲐᲝᲤᲚᲐᲠᲘᲡᲐ**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




## ᲒᲐᲚᲛᲐᲜᲘᲜᲘ

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კაროპკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგაპტყუონ.

გ. კარპინსკი.

(25—13)

---

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ᲜᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲬᲧᲚᲔᲑᲘ** უწყებული თვისის მკურნალეობითა აღწერილობისა-მებრ დოკტორის პლეშკოვსკისა და სხვა ცნობაებით, რომელიც იმყოფება ქუთაისის გუბერნიაში Სენაკის მაზრაში სოფელს ნოქალაქევს, 18 ვერსტზედ დაბა Ახალ-სენაკიდამ (სტანცია რკინის გზისა) უკანასკნელის 20 წლის განმავალობაში იყო მივარდნილი, უპატრონოთ მიტოვებული, ახლა კი ეს წყლიები ჩემს განკარგულებაში არის საიჯარადროდ და კიდევაც მოყვანილია მადნის წყალი სრულს წესიერებაშიდ. Ეს სამკურნალო წყალი სხვა წყლებთაგან განყოფილია და აყვანილია მილის საშვალობით 10 არშინზედ და გაშენებულია აუზები (ვანნები).

Მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ აღნიშნულის წყლებით ფრიად ზომიერის ფასით და მრთელის ჰაერით, რომლითაც გამოჩენილია ნოქალაქევი.

მეორე გილდის ვაჭარი
ივანე ლაზარის ძე გვიშიანი.

(შ.) (12—8)

---

# ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

**ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა 1880 წლის 18 ივნისს, იმის თანდასწრებით, დანიშნულია ვაჭრობა (ტორგი):

ა) ძალუჩი ბალკის პირ-და-პირ წყლის ჩასაშვების გასაკეთებლად და

ბ) Ზიმნაზიასთან წყლის გასაყვანის მილის გასაკეთებლად.

Ვისაც ამ მუშაობის იჯარით აღება სურს, უნდა მოვიდეს ძალაქის Ზამგეობაში (Უპრავაში) ნაშუადღევის 1 საათზე.

Დაწვრილებით პირობების (კანდიციის) შეტყობა შეიძლება ძალაქის Ზამგეობაში დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ.

(3—3)

---

# ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

### ᲝᲓᲔᲡᲡᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲘᲡ

## ᲒᲠ. ᲖᲐᲚᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის პროსპექტი, ფიშერის სახლი)

ჰყიდულობს და ჰყიდის, კომმისიით, ყოველ გვარ საქონელსა.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის გასასაღებელად.

წარმომადგენელია რუსის და საზღვარ გარეთის ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სავაჭრო სახლებისა.

აქვე ნარდათ ჰყიდის და ჰყიდულობს, გრეთვე კამისიის ფქვილს, საწვრიმლო და კოლონიალურ საქონელს.

(30—16)

---

**ᲞᲐᲠᲣᲡᲘᲜᲐ**, ბუმაზეია, ტრიკო, დრაპი, ხავერდი მებელისა და ფაეტონებისათვის, უნაგირები, ფოჩტის ქაღალდი და სხვ. 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**ᲛᲣᲠᲐᲑᲐ** გემრიელი, კანფეტიბი, ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ქურქლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**ᲙᲐᲠᲑᲝᲚᲘᲡ** პარაშოკი, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისის მაღაზიაში.

(40— 8)

---

### ᲙᲝᲯᲝᲠᲨᲘ

**ᲒᲐᲡᲐᲥᲘᲠᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ** ორი აგარაკი (დაჩა) 5 ოთახიანი სამზარეულოთი და ყოველ-გვარ მოწყობილებით, და ორი ოთახი სამზარეულოთი, საყდრის პირ-და-პირ, წყაროთი.

აქვე ჰქირავდება **ᲡᲐᲛᲘ ᲓᲣᲥᲐᲜᲘ.**

**ᲤᲐᲡᲘ** იკითხეთ Ბოლდანოვის სარდაფში, Ზალავინის პროსპექტზე, Შიოევის სახლში.

(3—3)

---

# ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲔᲞᲝ

ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲐᲙᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ (ინსტრუმენტების)
იულიუს ჰენრიდ ციმმერმანისა
ს.-პეტერბურღში, Დიდი მორსკოის ქუჩა, № 42.

**Главное депо, музыкальныхъ инструментовъ**
**Юлія Генриха Циммермана.**
**С.-Петербургъ, Большая Морская улица, № 42.**

საზოგადოებას ურჩევს საუკეთესო სამზღვარ გარეთელ ფაბრიკებიდამ ახლად მიღებულ სამუსიკო საკრავების (ინსტრუმენტების) ყიდვას.

სკრიპკები 2 მან. 50 კაპ. 5, 6, 8, 12, 20, 30, 50, 60 მ. ნეთიდამ 150 მანეთამდე.

სმიჩოკები 50. კ. 1 მ. 50 კ. 2, 3, 5, 8 მანეთიდამ 25 მანეთამდე

ბუდეები (ფუტლიარი) 2 მ. 50 კ. 5 მ. 50 კ. 6, 7, 10 მანეთიდამ 20 მანეთამდე.

ძველი იტალიური და ნემეცური სკრიპკები—600 მანეთამდე.

პატარა სკრიპკები ბავშებისათვის 2. 50 კაპ. 30 მანეთამდე.

სკრიპკის შკოლა (თვით-მასწავლებელი) 2, 3, 4 და 5 მანეთად.

ალტები 9, 15, 25, 50 მან. და უფრო ძვირადაც.

ვიოლონჩელები 20, 30, 40, 60, 100 მან. და მეტათაც—600 მ.

Ვიოლონჩელის შკოლა 4 მან.

კონტრა—ბასი 45, 65, 120 მან. და მეტათაც.

გიტარა 3 მ. 50 კ. 5 მ. 50 კ. 10, 15, 20, 40, 50 მ. და მეტათაც 100 მანეთამდე.

გიტარას შკოლა (თვით-მასწავლებელი) 1 მ. 50 კაპ. 2 მანეთი და 3 მანეთი.

ციტრები 14 მ., 16, 25, 35, 50 მ. და მეტათაც 100 მანეთამდე. Ციტრის შკოლა 2 მ. და 3, 50 მ. ნოტები 40, 60 და 90 კაპეიკი თითო რვეული.

მანდოლინები 10 მ. 20, 30 და 40 მან. და მეტათაც. Შკოლა 5 მანეთი.

სიმები ამ საუკეთესო იტალიური საკრავებისათვის კამერტონები 40, 50 კ. 1 მ. 50 კ. 2 მ. და 6 მ.

სურდინკები, კანიფოლი და სხვა კუთვნილებანი.

მეტრონომები 9 და 12 მან.

რკინის საკეცი პიუპიტრები—5 მან.

რკინის საკეცი პიუპიტრები სასანთლეებით 6 მან. 8 მ.

ნემეცური გარმონიები 4 მ. 4 მ. 50 კაპ. 5 მ. 50 კაპ. 7 მან 50 კაპ. 10, 15, 20, 24, 30, 40 და უმეტეს ფასიანებიც.

შკოლა და ნოტები გარმონიისათვის—50, 75 კ. 1 მან. 1 მან. 50 კ. რვეული.

კორნეტები პისტონისათვის—18, 25, 30, 40, 60 მან, 100 მ.

შკოლა (თვით-მასწავლებელი) 1 მ. 50 კ., 4, 5 მან.

ალგორნები,—სიგნალის ბუკები ტრომბონები.

ფლეიტები—3, 5, 7, 10, 12, 20, 30, 40, 60 მ. და მეტ. ფ.

შკოლა (თვით-მასწავლებელი) 1 მ. 50 კ. და 3 მან.

ნოტები 40 კ. 1 მ. 50 კაპ. 3 მ.

კლარნეტები 6, 8, 10, 15, 20, 30, 40 მ. და მეტი ფ. 60 მ-დე.

შკოლა ამისა 4 მან.

პიკოლო, ჩაკანები, ფლაჟოლეტები. ინგლისური კონცერტინო—30, 38, 45, 55, 70, 100 მ. და მეტ. ფას. 160 მანეთამდე.

შკოლა—3 მ. ნოტები— 50 კ. 75 კ. 1 მ. 50 კ.

ნემეცური კონრცერტინო. 3, 4, 8, 10, 12, 15 მ. და მეტ ფასიან 30 მანეთამდე.

შკოლა ამისთვის—75 კ. ნოტები 40 კ., 1 მან.

სამუსიკო ყუთები—2, 4, 6, 10, 25, 30, 40, 55, 75, 90 მან. და მეტ ფასიანები 200 მანეთამდე.

ფის—გარმონები—90, 100, 120, 150, 175, 250 მან. და მეტ ფასიანებიცა.

გარმონი ფლიუტები—40, 45, 60, 75, 90 მან.

გარმონი ფლიუტები ორღანოთი—175, და 225 მან.

შარმანკები—8, 12, 20, 30, 40 მან.

იტალიური შარმანკები—150, 200, 250 მან.

პატარა ორგანები (ჩიტებისთვის)—10, 15 მან.

დოლები (ბარაბანი) ლიტავრები, თეფშები (სამუსიკო), დაფები. ბუნჩუკები, კასტანიეტები, ბანდონიონები, მეტალოფონები, გარმონიები და სხვ. და სხვ.

Ვინც სხვა ქალაქებიდამ დაიბარებს რომელსამე ამ საკრავთაგანს. ბეჯითად და დაუყონებლივ შეუსრულებთ მოთხოვნილებას. Გამოგზავნის ხარჯი თვითონ მყიდველისაა.

Ყიდვა შეიძლება ცალ-ცალკე საკრავებისა და ბევრის ერთადაც.

(Ц. 8,275—79) (2—2)